განკარგულება:**g-49. 49261483**
თარიღი:**28/05/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №72 დადგენილების მე-4 მუხლის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 18 მაისის 48-4826138439 წერილის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმა დანართი N1–ის შესაბამისად (თან ერთვის).

2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 აპრილის №36/64 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

კობა გურეშიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

გარე რეკლამის გავრცელების გეგმა

№	გარე რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები (გაბარიტული ზომები)		ფორმა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერის №	სარეკლამო საშუალების განთავსების ადგილი	X	Y	
1	№1	უსაფრთხოების კუნძული (გაზონი)	29.08.34.113	ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა, ცენტრალური პარკის სამხრეთ შესასვლელთან	301760	4687384	ორმხრივი (სულ ორი ბანერი)
2	N2	უსაფრთხოების კუნძული (გაზონი)	29.08.34.115	ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა, ცენტრალური პარკის სამხრეთ შესასვლელთან	301821	4687432	ორმხრივი (სულ ორი ბანერი)
3	N3	უსაფრთხოების კუნძული (გაზონი)	29.08.34.116	ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა, ცენტრალური პარკის სამხრეთ შესასვლელთან	301720	4687423	ორმხრივი (სულ ორი ბანერი)

4	N4	უსაფრთხოების კუნძული (გაზონი)	29.08.33.216	ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა, სანატორიუმ „სავანე“-ს მიმდებარედ	302720	4688550	სამმხრივი (სულ სამი ბანერი)
5	N5	უსაფრთხოების კუნძული (გაზონი)	29.08.33.213	ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა, „სპა-რესტორანის მიმდებარედ	302403	4687995	სამმხრივი (სულ სამი ბანერი)